ბათუმის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

თვითმმართველი ქალაქ -ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი ჭეიშვილს

თვითმმართველი ქალაქი ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერს ბატონ გიორგი ერმაკოვს

ბატონო ირაკლი/ ბატონო გიორგი,

პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობაა არჩეული თვითმმართველობის მეშვეობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები, ამას კანონმდებლობა განსაზღვრავს. ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმვა, მიღება, მასში ცვლილებების შეტანა თუ განხორციელება ესაა ძირითადი უფლებამოსილება, რომელიც არჩეულ მერს თუ საკრებულოს წევრებს მივანიჭეთ ქალაქში არსებული პრობლემებისა თუ გამოწვევების გადასაწყვეტად.

1 სექტემბერს, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით და საკრებულოს მხარდაჭერით განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილება, საბიუჯეტო დაგეგმვის და თვითმმართველობის განხორციელების პრინციპებს ეწინააღმდეგება. როგორც ბათუმის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, ასევე საზოგადოების სხვა წევრებს არ მოგვეცა წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების განხილვის შესაძლებლობა და ის ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ საკრებულოს სხდომაზე, სადაც ცვლილების განხორციელება შეუძლებელი იყო.

ცალსახად უარყოფითად ვაფასებთ 2015 წლის 1 სექტემბერს განხორციელებულ ბიუჯეტის ცვლილებას, განსაკუთრებით „ბათუმის არტ ფესტივალების ქალაქის“ ქვეპროგრამაში დამატებას და 400 ათასი ლარის გამოყოფას „რეკლამის საერთაშორისო ფესტივალის“ ორგანიზებისთვის შემდეგი გარემოებების გამო:

1. დოკუმენტი, რომელიც მერიამ წარმოადგინა საკრებულოს სხდომაზე ზოგადი ხასიათისაა და მასში არ არის დეტალურად აღწერილი ფესტივალის შესახებ ინფორმაცია (ფინანსურ

და პროგრამულ ჭრილში). არ არის გაწერილი მოსალოდნელი შედეგები. ასევე, რა კრიტერიუმებით/ინდიკატორებით გეგმავენ შეაფასონ ღონისძიება;

2. არ არის დასაბუთებული აღნიშნული ფესტივალის დაფინანსების აუცილებლობა. მაშინ, როცა ქალაქის ისედაც აფინანსებს 4 ფესტივალს (საერთო ჯამში 290 ათასი ლარი იხარჯება ყველა ფესტივალზე), რატომ გახდა აუცილებელი სასწრაფოდ ფესტივალის დაფინანსება ბიუჯეტიდან. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი (საკრებულოს სხდომაზე გაჟღერდა, რომ სხვა ქალაქში უნდა ჩატარებულიყო ეს ფესტივალი), რომ ეს ღონისძიება ინიცირებულია ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, რაც კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას და არღვევს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 65-ე მუხლს - „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია ამ კოდექსით გათვალისწინებული საკუთარი შემოსულობებით და საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის გადასახდელების გაწვევის დამოუკიდებლად განსაზღვრით, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში დელეგირებულ უფლებამოსილებათა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლებით“.

   მაშინ როცა ქალაქის ბიუჯეტიდან ყოველთვის რთულია ფინანსური სახსრების მოძებნა პრიორიტეტების კვლევის, ქალაქის ურბანული განვითარების გეგმის თუ სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების განსახორციელებლად, რთულია დაინახო აღნიშნული ფესტივალის ფორსმაჟორულ რეჟიმში დაფინანსების აუცილებლობა, მით უფრო 400 ათასი ლარით.

3. ჩვენთვის ცნობილია, რომ ინტერნეტ სივრცეში ჯერ კიდევ 10 აგვისტოსაა დაწყებული ფესტივალის ჩატარების შესახებ სარეკლამო კამპანია (http://sovetreklama.org/archives/31224 http://adblacksea.com/news/30 და სხვა), სადაც ნათქვამია, რომ ფესტივალი ბათუმში ტარდება, თუმცა ამის შესახებ ადგილობრივ თვითმმართველობას ინფორმაცია ოფიციალურად არ ჰქონია. 1 სექტემბერს საკრებულომ ბიუჯეტის ცვლილება ძალიან სწრაფად და სიღრმისეული ანალიზის გარეშე განახორციელა. ფესტივალის ჩატარება იგეგმება 24-27 სექტემბერს, მაშინ როდესაც მერიას ჯერ არ აქვს ტენდერი გამოცხადებული სახელმწიფო შესყიდვაზე. მსგავსი დამოკიდებულება ტოვებს საფუძვლიან ეჭვს ვივარაუდოთ, რომ ფესტივალათან დაკავშირებით საჭირო სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდება გამარტივებული შესყიდვების სახით, რაც თავისთავად გამორიცხავს საჯარო ფინანსების გამჭვირვალედ და რაციონალურად ხარჯვის შესაძლებლობას.

   ეს ყველაფერი აჩენს ღონისძიების გაუმჭვირვალედ ჩატარების ეჭვს და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად და არაეფექტურად ხარჯვის საშიშროებას წარმოშობს.

4. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფესტივალების ჩატარება ქალაქისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა ის უნდა იყოს წინასწარ განხილული, დაგეგმილი და მხოლოდ ამის შემდეგ განხორციელებული, თუ ბიუჯეტიდან დახარჯული თანხა ქალაქს პოპულარიზაციას და განვითარებას შეუწყობს ხელს. ამასთან თანხა ფესტივალისთვის უნდა იყოს გონივრულ ფარგლებში გამოყოფილი და მისი საჭიროება დასაბუთებული. ასევე ჩვენი

რეკომენდაციაა უკვე შემდგარი ფესტივალების მასშტაბების გაზრდაზე იფიქროს ადგილობრივმა თვითმართველობამ, რადგან ამ ფესტივალის გამართვისთვის ქალაქს დიდი თანხა აქვს დახარჯული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმვა, მისი მიზნობრივი ხარჯვა, ანალიზი და მონიტორინგი უნდა ხორციელდებოდეს გამჭირვალედ და საზოგადოების მაქსიმალური მონაწილეობით, რათა ეს პრინციპები იყოს უზრუნველყოფილი და დანერგილი ქალაქის თვითმმართველობის განხორციელებისას.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

აჭარის ფილიალის თავმჯდომარე რაჟდენ ხიმშიაშვილი

ბათუმის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სპიკერი ნათია აფხაზავა